საპროექტო ტერიტორიის სახელოვნებათმცოდნეო-ანალიტიკური კვლევა

ქ. თბილისი. მერაბ კოსტავას I შესახვევი №3

შ.პ.ს. Georgian group



შემსრულებელი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი: მაია იზორია

თბილისი

2013

1. მდებარეობა

საკვლევი ობიექტის ტერიტორია მდებარეობს მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მთიანი ფერდის ზოლში, მდინარის ზედა დონეზე პარალელურად განლაგებული ქალაქის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო არტერიის, მერაბ კოსტავას მაგისტრალის დასაწყისში, რომელიც ისტორიულად ვერეს უბანს, ხოლო ადმონისტრაციულად ძველი თბილისის გამგეობას, ვერის ზონას ეკუთვნის. საპროექტო მიწის ნაკვეთი განთავსებულია ოდნავ დაქანებულ რელიეფზე გაყვანილი მერაბ კოსტავას ქუჩის კენტი ნუმერაციის მარჯვენა რიგისა და მისივე I შესახვევის (№3) დასაწყისის კუთხეში. საკვლევი ობიექტის გვერდიგვერდ ამოყვანილია მშენებარე მოცულობა, რომლის ხედები იშლება მთავარი ფასადით მაგისტრალისაკენ, კოსტავას I შესახვევისაკენ და მის გადაღმა აღმართული სამორინე „ევროპას“ 7 სართულიანი შენობისაკენ. საკვლევ ობიექტს უკანა მხრიდან ესაზღვრება მაღლივი საცხოვრებელი კორპუსი და ქუჩის ხაზზე მდგარი სასტუმრო „ვარაზის“ 5 სართულიანი შენობა.



მიუხედავად იმისა, რომ ქუჩების კონტურებს ცვლილებები არ განუცდია ამჟამინდელი განაშენიანება თანამედროვე ხასიათის ინფრასტრუქტურას წარმოადგენს.

მთიანი რელიეფის მაღალ ტერასაზე მდებარე პეტრე მელიქიშვილის (ყოფ. წყნეთის გზა), ქუჩიდან მიკროუბნისაკენ დაღმართად ჩავყავართ შალვა ღამბაშიძის (ყოფ. შეშის საზიდი-დროვოზნაია, წილკნის), მერაბ კოსტავას I შესახვევისა (ზედა ტოტი) და იაკობ ნიკოლაძის (ყოფ. დუშეთის) პერპენდიკულარულ ქუჩებს. ისინი ზედაწელში იკვეთებიან პ.მელიქიშვილის პარალელური გიორგი



ქუჩიშვილის (ყოფ. მატერიალური) ქუჩით. ქვედა ტერასაზე, მერაბ კოსტავას (ყოფ. დიღმის, რუსეთის, ოლღას, ლენინის პროსპექტი) მაგისტრალის მეორე მხარეს, შ.ღამბაშიძის ქუჩისა და მ.კოსტავას 1 შესახვევის მონაკვეთში, მას პერპენდიკულარულად უერთდებოან ლუარსაბ ბოცვაძის ქუჩის მოკლე ტოტი და მერაბ კოსტავას 1 შესახვევი (სატიო/სატივეს, მორსაზიდის, ვერის), რომელიც სანაპიროსაკენ ეშვება თავდაპირველად, გრძელ მონაკვეთზე სწორად და დაღმართად გაყვანილი ასფალტის საფარიანი სამანქანო გზით, ხოლო შემდეგ მკვეთრად უხვევს და ირიბად აღმართული მაღალი სახლით „იკეტება“, აქ სამანქანო გზა წყდება და სახლის ცოკოლის სართულის გავლით ქვეითად მოსიარულეები თავდაღმართით აგრძელებენ მოძრაობას. დღესდღეობით, მ.კოსტავას ქუჩა მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთან დამაკავშირებელ მნიშვნელოვან სატრანსპორტო არტერიას წარმოადგენს.



უბნის ამ მონაკვეთში XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ისტორიულ ნაგებობებთან (საცხოვრებელ სახლებთან) ერთად ჩართულია საბჭოთა პერიოდსა (სოფლის მეურნეობის სამინისტრო მ.ნეპრინცევის შენობაა,



რომელიც აიგო 1941 წელს) და ახლო წარსულში აღმართული მოცულობებიც, რომლებიც მრავალსართულიანობისა და სტილისტური სხვაობის მიუხედავად, არ არღვევენ განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურულ მთლიანობას.

საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავე ნაკვეთზე დაწყებულია მშენებარე მოცულობის ამოყვანა. საკვლევ ობიექტს ისტორიული ნაგებობები მხოლოდ მაგისტრალის გადაღმა ესაზღვრება. კენტი ნუმერაციის საზღვრებში მარცხნივ განთავსებულია ისტორიული ნაგებობები №43,41,35,27, მარჯვენა მხარეს



ძეგლების მთელი ანსამბლი (ყოფილი აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა) მდებარეობს საკმაოდ მოშორებით და დამისამართებულია №69-ით. მ.კოსტავას I ჩიხის მოპირდაპირე მხარეს ქუჩის პირზე ჩამორიგებული ლუწი ნუმერაციის ძეგლების რიგი აღმართულია ასევე მოშორებით, მარცხნივ დგანან სახლები №42,40,28, მარჯვნივ ერთადერთი ძეგლია, სახლი №54. მიკროუბნის დანარჩენი ისტორიული ნაგებობები მ.კოსტავასა და პ.მელიქიშვილის ქუჩებს შორის არსებულ ძლიერ დაქანებული ფერდობის სივრცეშია მიმოფანტული.



1. უბნის ისტორიულ-ურბანული განვითარება

საპროექტო ტერიტორია მოქცეულია მტკვრის მარჯვენა სანაპიროს დაქანებულ ფერდობზე, ისტორიული ვერეს უბნის ქვედა წელში ე.წ. ქვედა ვერეზე. მ.კოსტავას, მისივე 1 შესახვევისა (ზოგან აღნიშნულია როგორც ჩიხი) და ლ.ბოცვაძის ქუჩები, აგრეთვე ყოფილი აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის, საწყლოსნო კომპლექსის ”ლაგუნა ვერეს”, ვერის ბაღის და ანდრია პირველწოდებულის ლურჯი მონასტრისა თუ იოანე ღვთისმეტყველის რუსული ეკლესიის შემოგარენი ვერეს უბნის შემადგენელი ნაწილია.



უბანი ვერე ამჟამად ცნობილია როგორც ვერა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით მისი სახელწოდება სათავეს იღებს ამავე დასახელების მდინარე ვერედან (ადრე სკვირეთი-სკორეთი ერქვა), XIIIს-ში პირველად ჩნდება ტოპონიმი ვერესახევი/ვერესხევი, ხოლო XVIIIს-ის წერილობით წყაროებში მოხსენიებულია სოფ.



ვერე, რომელიც აზნაურ გაბაშვილების მამული ყოფილა. XVIIIს-ის ვერა იწყებოდა გაბაანთხევიდან და მოიცავდა მდინარის ქვედა დინების ნაწილსაც.



შუა საუკუნეებში, "წყნეთის გზის" (პ.მელიქიშვილის ქუჩა) ქვედა ხაზს, ახლანდელ მერაბ კოსტავას ქუჩას მიუყვებოდა დიღმის საქარავნო გზა და გმირთა მოედანთან ძველი ვერის ხიდით კვეთდა მდინარეს. საქარავნო გზა XVIIIს-დან გახდა "რუსეთის გზა", ხოლო XIX ს-დან ოლღას ქუჩის სახელი მიენიჭა. გმირთა მოედანზე გამავალ მის მონაკვეთს კი ჯვრის ქუჩა დაერქვა. ამ დროს ვერის ხიდსაც ჯვრის ხიდს ეძახდნენ. ტოპონიმი ჯვარი წარმოიშვა ყოფ. აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის ტერიტორიაზე საგანგებოდ გაყვანილ დაღმართზე 1846 წელს აღმართულ თუჯის ჯვართან



დაკავშირებით. იგი დადგეს ამ ადგილას გადაბრუნებული ეტლიდან რუსეთში მიმავალი ნიკოლოზ I-ის სასწაულებრივი გადარჩენის აღსანიშნავად. ჯვარი XXს-ის 20-იან წლებში აიღეს, როდესაც მდ. ვერეზე ახალი ქვის ხიდი გადეს, ქუჩა აამაღლეს, გაასწორეს და პირდაპირ შეუერთეს საქართველოს სამხედრო გზას

1880-იანი წლებიდან დაწყებული ვერის ტერიტორიის განაშენიანება საპროექტო ობიექტის მიკროუბანს არ შეეხო, ამჟამინდელი ვერის პარკიდან

”ლაგუნა ვერემდე” გაშლილი სასაფლაოს გამო. XIXს-ის 20-იან წლებში საწყლოსნო კომპლექსის ადგილას მოწყობილი იყო ტივმისადგომი, რომელსაც ვუახლოვდებოდით ვერის შესახვევის გავლით. მიკროუბნის ამ ნაწილს ამიტომაც ეძახდნენ სატიოს, ხოლო მისასვლელ გზას სატივე/სატიოს შესახვევს. ვინაიდან აქედან მორებს ეზიდებოდნენ მას მოგვიანებით, მორსაზიდის შესახვევი ეწოდა. ამის შემდეგ გახდა ვერის შესახვევი, დღეს კი მკოხტავას I შესახვევია. სასაფლაოს საზღვრებში, XII ს-ის ლურჯი მონასტრისა და XVIIIს-ის იოანე ღვთისმეტყველის რუსული ეკლესიის გარდა იდგა წმინდა გიორგის ტაძარიც, რომელიც 1930-იან წლებში სასაფლაოს გადატანისას დაანგრიეს. საპროექტო ობიექტის ნიშნულზე, ვერის შესახვევის საწყის კუთხეში ღამის გასათევი სახლი ფუნქციონირებდა, ხოლო საპირისპირო მხარეს ანუ შესახვევის მოპირდაპირე კუთხეში განლაგებულნი იყვნენ მსროლელთა ბატალიონის ყაზარმები. მთავარი ქუჩის განაშენიანებას, XIX ს-ის მიწურულიდან საცხოვრებელი ნაგებობები ქმნიდნენ. გზის ქვედა მონაკვეთის ათვისება კი შედარებით გვიან, XX ს-ის 20-30-იანი წლებიდან იწყება.. საბჭოთა პერიოდში, 1921 წლიდან, ოლღას ქუჩას ლენინის პროსპექტი ეწოდა, 1989 წლიდან დღემდე კი მერაბ კოსტავას ქუჩაა.



გამოყენებული ლიტერატურა:

1. კვირკველია თ., ძველთბილისური დასახელებანი, თბ.,1985
2. ბერიძე თ., და აღმოცენდა თბილისი. თბ.,
3. მ.მანია, ი. ბაულიგი, ჰ. მილდენბერგი, კ. ციგლერი., „თბილისის არქიტექტურული გზამკვლევი“, საარბრიუკენი, 2004,
4. თ. გერსამია, “ძველი თბილისი”, თბ., 1984
5. თბილისი, გამზირები, მოედნები, ქუჩები, ენციკლოპედია, თბ..2001
6. К. Моретти, 50 лет на строиках Тбилиси, Тб,1971
7. Т.Кирквелия, Архитектура Тбилиси, Тб, 1982

2. ტფილისის რუქები

ვახუშტი ბატონიშვილის 1800 წლის ტფილისის რუქაზე ვერის უბანი ქალაქგარეთაა მოქცეული. აღნიშნულია მტკვრის მარჯვენა სანაპიროს

შენაკადები - ვერე და ვარაზისხევი, ზემო წყნეთის ტბა (ახლანდელი კუს ტბა) არსებითი ცვლილებები არ შეინიშნება XIX ს-ის ბოლო მესამედის ტფილისის გეგმებზეც.

1907 და 1913 წლების ტფილისის გეგმებზე მიკროუბანი შეყვანილია პოლიციის I განყოფილებაში. 1907 წლის რუქაზე ვერის სასაფლაოს ტერიტორიაზე ვერის შესახვევის მხარეს შემოსაზღვრულია ველოტრეკის ფართობი. **№12-ით** დატანილია წმინდა გიორგის სახელობის სასაფლაოს ეკლესია, **№14-ით** იოანე ღვთისმეტყველის რუსული და ანდრია პირველწოდებულის (ლურჯი მონასტერი) ქართული ეკლესიები. ორივე რუქაზე საკვლევი ობიექტის ადგილას **№57-ით** აღნიშნულია ღამის გასათევი სახლი, მოპირდაპირე მხარეს **№55-ით** ყაზარმები. მთავარი ქუჩა ოლღას სახელობისაა, შესახვევის სახელწოდება მითითებული არ არის. 1907 წლის გეგმაზე საკვლევი ობიექტის პირდაპირ, ოლღას ქუჩის პერიმეტრზე **№10-ით** აღნიშნულია სამხედრო საოლქო სასამართლოს შენობა.









საბჭოთა პერიოდის **1924 წლის** ქალაქის გეგმაზე მხოლოდ ქუჩებია აღნიშნული, შენობები დანომრილია განმარტების გარეშე. ობიექტი კვლავ №55-ია და აგრძელებს ფუნქციონირებას როგორც ღამის გასათევი სახლი. ახლანდელი მ.კოსტავას, ოლღას ქუჩის მონაკვეთი ლენინის პროსპექტის სახელითაა გატანილი.

4. საპროექტო ტერიტორიის არსებული განაშენიანება

მ.კოსტავას შესახვევის ასგალტის საფარით მოგებული ვიწრო ქუჩის არქიტექტურულ-მხატვრულ სახეს აყალიბებს სტილისტურად მრავალფეროვანი, განსხვავებული სიმაღლის მჭიდროდ მიჯრილი ნაგებობათა განაშენიანება, რომელთა რიგი წითელ ხოლს ზოგან არ იცავს და, ქუჩის კონტურის სისწორეს არღვევს. სხვადასხვა დროისა და სტილის საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები განთავსებულია შესახვევის დასაწყიში, საცხოვრებელი სახლები კი ცალკეული გამონაკლისის გარდა უმეტესად სიღრმეში. დღესდღეობით ახალმშენებლობა მიმდინარეობს საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავე ნაკვეთზე.



საპროექტო ტერიტორიას უკანა მხრიდან უახლოვდება მ.კოსტავას ქუჩის პერპენდიკულარულად აღმართული ბოლო ათწლეულის მაღლივი საცხოვრებელი კორპუსი. მარჯვნივ, ქუჩის ხაზზე დგას სასტუმრო "ვარაზის" მანსარდიანი მაღალი შენობა. მარცხნივ აღმართულია 1970-იანი წლების ფუნქციონალიზმის პრონციპით გადაწყვეტილი ყოფილი ტექნიკური ბიბლიოთეკის, ამჟამად სამორინე "ევროპას"



მრავალსართულიამი (7) კომპლექსი, მ.კოსტავას ქუჩის პირზე ჰორიზონტალურად განვითარებული მძიმე, მასიური, გათანამედროვებული ფსევდოეროვნული ელემენტებით აგებული ეკლექტური ფასადით, ყრუ სიბრტყეებით. მისი მარჯვენა ფრთა შესახვევის გზის გასწვრივ ხვდებ, რომელსაც აგრძელებს. ბოლო ათწლეულში გაშენებული მრავალსართულიანი საცხოვრებლების მთელი კვარტალი. საპროექტო ობიექტს შესახვევის მხრიდან ემიჯნება გასული საუკუნის შუახანებში აგებული კეკელიძის სახ. სპორტული (კალათბურთის) დარბაზის მოცულობა, ცოკოლის ყრუ სართულითა და ფართო ღიობებით დანაწევრებული დამაგვირგვინებელი სართულის წინ წამოწეული შვერილით.. მასთან სტილიტურად ახლოა გვერდიგვერდ აღმართული 3 სართულიანი სკოლის შენობა, რომლის საზღვრებში ფუნქციონირებს კრივის სპორტული დარბაზი. პირველი სართული კი დაკავებული აქვს სტრიპტიზ-ბარის გასართობ ცენტრს. შენობების განლაგება მწკრივულ განაშენიანებას არ ქმნის და სიღრმეში გადის ამავე ტერასაზე გაშლილ ვერის ტყე-პარკის მწვანე საფარში, სადაც საპირისპიროდ მოწყობილია კორტების მოედანი. შესახვევის სამანქანო გზა ქვედა ტერასისკენ თავდაღმართით ეშვება და ირიბად აღმართულ კორპუსთან სრულდება.

ბოლო ათწლეულში საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის მასშტაბის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ქუჩის არქიტექტურულ-მხატვრულმა იერსახემ ეპოქის შესატყვისად განიცადა ტრანსფორმაცია და თანამედროვე ხასიათი მიიღო.

დასკვნა და რეკომენდაციები

მიკროუბნის არქიტექტურულ-მხატვრული სახე XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა, როდესაც ტერიტორიის დიდი ნაწილი აითვისეს ევროპული და ნაციონალური ელემენტების შეთანხმებით ნაგებმა 2-3 სართულიანმა სახლებმა. ქუჩის განაშენიანების სტილისტური მრავალფეროვნება საბჭოთა პერიოდში აღმართულმა საზოგადოებრივმა შენობებმა გამოიწვიეს, რომელთა. მხატვრულ გადაწყვეტას ეროვნული, ფსევდოკლასიცისტური და რენესანსული მოტივების თანაარსებობით მიღწეული ეკლექტურობა ახასიათებს და მიზნად ისახავს ადაპტირებული სტრუქტურის საფასადო სახის შექმნას. თანამედროვე შენობის ისტორიულ განაშენიანებასთან სინთეზირებისათვის აგრეთვე გამოყენებულია პროპორციული შეფარდება.

XX საუკუნის მანძილზე მიკროუბნის ისტორიული განაშენიანების რეკონსტრუქცია თავდაპირველად, ჩატარდა 1930-იანი წლების თბილისის გენ.გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების დროს. 1936 წელს ვერის ძველი სასაფლაოს ადგილას გაშენდა ტყე-პარკი საზაფხულო თეატრით. 1950-იანი წლების რეკონსტრუქციის დროს ქუჩის პერიმეტრზე აიგო სოფლის მეურნეობის სამინისტროს კლასიცისტური სტილით შესრულებული მაღალი პომპეზური

შენობა. 1970-იან წლების რეკონსტრუქციისას მ.კოსტავასა და პ.მელიქიშვილის გადაკვეთის ადგილას მოედნის სახით ჩამოყალიბდა სატრანსპორტო კვანძი. ამას მოყვა მათ შორის მდგარი ვ.იაკუბოვიჩის საცხოვრებელი სახლის (1930წ.) ნგრევა, რომლის ადგილას აღიმართა ფილარმონიის მაშტაბური მოცულობა (არქ .ი.ჩხენკელი, შ..გაზაშვილი, 1971წ.). ვერის ბაღში აშენდა შახმატის სასახლე (არქ. დ.ალექსი-მესხიშვილი, გ.ღუდუშაური, 1973წ.), ტექნიკური ბიბლიოთეკის მაღლივი ნაგებობა (საქ.მშენი, 1975წ.) მიკროუბნის განაპირას, მტკვრის სანაპიროზე ფუნქციორირება დაიწყო ”ლაგუნა ვერემ” (არქ.შ.ყავლაშვილი, რ.კიკნაძე, 1978წ.), მიკროუბნის თანამედროვე სახის ჩამოყალიბება დაასრულა მოგვიანებით გადებულმა ვერის ახალმა ხიდმა (არქ. ტანსკი 1885წ.)

XXI საუკუნის დასაწყისიდან აქ მხოლოდ მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები იგებოდა, რომელთა კვალდაკვალ შესახვევის სათავეში უსახური ქოხმახების ადგილას დაიწყო მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობა. დღესდღეობით მის გვერდიგვერდ, დაპროექტებულია ბიზნეს ცენტრის თანამედროვე მაღლივი ნაგებობა.

სხვადასხვა დროს განხორციელებული რეკონსტრუქციების შედეგად ცვლილებები არ განიცდია ქუჩის კონტურებს, რის საფუძველზეც სტილისტურად მრავალფეროვანი ქუჩის განაშენიანება ინარჩუნებს მისთვის სახასიათო მხატვრულ სახეს. აქედან გამომდინარე კიდევ ერთი ახალი მოცულობის დამატებისას, უბნის ისტორიული განაშენიანების გათვალისწინების გარდა, ყურადღება უნდა მიექცეს მიკროუბნის თავისებურებათა დაცვას:

1. ეს ადგილი წარმოადგენს თბილისის საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიას, სადაც ძველთაგანვე გადიოდა მნიშვნელოვანი სატრანსპორტო არტერია. ამიტომ ქუჩის ისტორიულ განაშენიანებაში ახალმშენებარე ობიექტის სტრუქტურის გაჩენამ არ უნდა გამოიწვიოს არსებული არქიტექტურული ხედის მხატვრული სახის მკვეთრი ცვლილება და არ უნდა დაარღვიოს ჩამოყალიბებული განაშენიანების ერთიანი მასშტაბი.
2. ახალი მოცულობის დაპროექტებისას გასათვალისწინებელია ქუჩის გეგმარებითი სტრუქტურა და კონტურები
3. ქუჩის დაქანებული რელიეფის გამო, მის პერიმეტრზე აღმართული მოცულობები სართულიანობის მიუხედავად, ქვედა ზღვარზე მდგარი მომდევნო ნაგებობის მიმართ ვიზუალურად მაღალი ჩანს. აქედან გამომდინარე საპროექტო ობიექტის სიმაღლე არ უნდა აცდეს სასტუმრო „ვარაზის“ შენობას.
5. მნიშვნელოვანია დაპროექტებული შენობის ვერტიკალის კომპოზიციური კავშირი მეზობელ მშენებარე ნაგებობასთან, რომელსაც საგრძნობლად დაბალი და ჰორიზონტალურად განვითარებული მოცულობა აქვს. ახალი ობიექტის ვერტიკალის დომინირების გამო, მისი ფასადი უნდა

ასრულებდეს ერთგვარი ფონის როლს, რაც შესაძლებელია მშენებარე მოცულობის მხარეს ყრუ კედლის ამოყვანით.

6. მნიშვნელოვანია მათი სტილისტური სიახლოვის გათვალისწინება რაც უნდა მოხდეს არქიტექტურული კონსტრუქციების ფორმებისა და საამშენებლო თუ მოსაპირკეთებელი მასალების „გამოძახილებით“.
7. მეზობელ შენობასთან კომპოზიციური და სტილური კავშირი მოითხოვს ერთობლივი საფასადო ხედების არსებობას, როგორც მ.კოსტავას ქუჩის, ასევე შესახვევის მხრიდან;
8. შესახვევის სივრცეში არსებული ძველი გეგმარებითი სტრუქტურა ახალი მოცულობების მდებარეობასაც მთავარი ქუჩის სიღრმეში განაპირობებს, რაც ორივე შენობის მრავალფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიაზე პარკინგის მოწყობის შესაძლებლობას ქმნის.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი; მაია იზორია

KA070169619639314

საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა
დაცვის სამინისტრო

Ministry of Culture
and Monument Protection of
Georgia

0105. ქ.თბილისი. სანაპიროს ქ. N4. ტელ:2 -996-377; ფაქსი: (+99532) 2-987-430
4 Sanapiro str. Tbilisi 0105. Georgia. Fax: (+99532) 2-987-430 Phone: 2 -996-377

www.culture.gov.ge E-mail: pr@culture.gov.ge

N02/08-742

14 / თებერვალი / 2014 წ.

თბილისის არქიტექტურის
სამსახურის
უფროსის მოვალეობის
შემსრულებელს,
ბატონ გიორგი გოგოლაშვილს

N07-13/158,

29.01.2014

დამტკიცდა
07-13/158
17-02-14

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ სამინისტროს პოზიციას თქვენი წერილით წარმოდგენილი განსახილველი საკითხების შესახებ:

<u>მიეცეს დადებითი შეფასება:</u>

1. ქ. თბილისი, გუმბრის ქ.N20 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი და მშენებლობის ნებართვა (AR1192922);

2. ქ. თბილისი, ისნის ქ.N18 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი (AR1193241);

3. ქ. თბილისი, მ. კოსტავას 1-ლი შესახვევი N1, კოსტავას 1-ლი გასასვლელი N1, მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტი (AR1192703);

4. ქ. თბილისი, გ. დოლიძის ქ.N4 რეკონსტრუქციის პროექტი და მშენებლობის ნებართვა (AR1191667);

5. ქ. თბილისი, რიყის ტერიტორია, ნაკვეთი N65/048, მსუბუქი კონსტრუქციის ატრაქციონის განთავსების საკითხი (AR1191958);

6. ქ. თბილისი, ერეკლე მე-2 ჩიხი N6 ღია კაფეს მოწყობა (AR1192638);

7. ქ. თბილისი, ვერცხლის ქ.N39 სასტუმროს განსათავსებლად ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების მომატება (AR1193005);

8. ქ. თბილისი, ფოსტის შესახვევი N9 რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა და ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების მომატება (AR1182216) - პროექტირების სტადიაზე გათვალისწინებულ იქნეს ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის რეკომენდაციები;

ასევე დადებითი შეფასება მიეცა თქვენივე წერილით გამოგზავნილ (N07-13/222. 04.02.2014) - **ქ. თბილისი, ხივინის შესახვევი N4, სასტუმროს განსათავსებლად მინის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენას** (AR1194719).

<u>განმეორებით იქნეს წარმოდგენილი:</u>

1. **ქ. თბილისი, ლესელიძის ქ.N12-ის მიმდებარედ მსუბუქი კონსტრუქციის შენობა-ნაგებობის განთავსების საკითხი** (AR1191753);

2. **ქ. თბილისი, მირზა შაფის ქ.N5 მშენებლობის ნებართვა** (AR1193010);

3. **ქ. თბილისი, მთაწმინდის შესახვევი N7ბ, შენობის რეკონსტრუქციის საკითხი** (AR1191914);

4. **ქ. თბილისი, მესხიშვილის/ავლაბრის ქ.N11/30 რეკონსტრუქციის პროექტი და მშენებლობის ნებართვა** (AR1182984) - არ არის გათვალისწინებული წინა განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნები; ასევე, სრულფასოვანი გადაწყვეტილების მისაღებად წარმოდგენილ უნდა იქნეს ფასადი ავლაბრის ქუჩის მხრიდან და განშლა მიმდებარე შენობების აღნიშვნით;

5. **ქ. თბილისი, ხიდისთავის ქ.N10 ავარიული სახლის დემონტაჟისა და მის ადგილას ახალი საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა** (AR1181976) - წარმოდგენილ იქნეს ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის რეკომენდაციების გათვალისწინებით დამუშავებული ესკიზური პროექტი;

6. **ქ. თბილისი, კოტე მესხის აღმართიN1/კოტე მესხის აღმართი N1 დემონტაჟის პროექტი** (AR1193073) - წარმოდგენილი მასალა არ იძლევა სრულყოფილი განხილვის საშუალებას; წარმოდგენილ იქნეს ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა და მის რეკომენდაციებზე დაყრდნობით შესრულებული ესკიზური პროექტი;

<u>უარი ეთქვას:</u>

1. **ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ.N168 მიშენების პროექტი და მშენებლობის ნებართვა** (AR1192029);

2. **ქ. თბილისი, გრიშაშვილის ქN11/გრიშაშვილის ქN11-ის მიმდებარედ რესტორნის პროექტი** (AR1192677) - არ არის მიზანშეწონილი არსებული მოცულობის გაზრდა;

რაც შეეხება - **ქ. თბილისი, გერგეთის შესახვევი N3/გერგეთის შესახვევი N3-ის მიმდებარედ ნაკვეთი 70/049, ოქროყანა ნაკვეთი 06/066/გერგეთის შესახვევი N3-ის მიმდებარედ, ნაკვეთის 06/067** (AR1188976) **სასტუმროს კორექტირებული პროექტისა და მშენებლობის ნებართვის** საკითხს - გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი საპროექტო მოცულობა, რომლის აგებაც განსაზღვრულია ისტორიული განაშენიანების მიმდებარედ, შეუფერებელია არსებული გარემოსთვის.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი მანანა ბერიკაშვილი